ოქმი:ო37. 37232712
თარიღი:28/09/2023

ოქმი N 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2023 წელი, 27 სექტემბერი

ქ. ოზურგეთი

11.00 -13.30 - საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნ. ჭანიშვილი და ტ. აროშიძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე; ფრაქციის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე,გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, თ. გოგუაძე, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, რ. დუმბაძე, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პიერველი მოადგილე-გ. ღურჯუმელიძე, მოადგილეები: ნ. <u>გოლიაძე და ნ. ბოლქვაძე.</u>

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 34-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარის დ. დარჩიას წინადადებით საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირებსა და 8 სექტემბერს გურიაში სტიქიის შედეგად დაღუპული ადამიანების ხსოვნას, შემდეგ აღნიშნა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის მაშველების, საკრებულოს წევრების , მერიის სამსახურების და მოქალაქეების , ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების გაწეულ დროულ და ეფექტურ მუშაობაზე, მადლობა გადუხადა მათ და ასევე ყველა მუნიციპალიტეტს, რომლებმაც ჰუმანიტარული

დახმარება გაუწიეს დაზარალებულ მოსახლეობას. აღნიშნა ქვემო ნატანების საჯარო სკოლაში მომხდარ ფაქტზე, განაცხადა, რომ ცნობილი იყო სკოლის შენობის რეაბილიტაციის საჭირობაზე, გამოცხადებული იყო ტენდერი, ტენდერი მოგებულია და მალე დაიწყება ზემო ნატანების სკოლის ძველი შენობის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა. ამის შემდეგ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 34 ხმით. საკითხების განხილვის დაწყებისას საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის „ წევრმა თ. ნიკოლაშვილმა ითხოვა განცხადების გაკეთება, რასაც მოყვა ხმაური, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ 11.30 -საათზე გამოაცხადა 30 წუთიანი შესვენება. სხდომა გაგრძელდა 12.00- საათზე, განმეორებით რეგისტრაცია გაიარა 24-მა საკრებულოს წევრმა.

დღის წესრიგი

60.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის“დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24 - ხმით

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ სკითხის გაცნობამდე, სამძიმარი გამოუცხადა, 8 სექტემბრის სტიქიის შედეგად გურიაში დაღუპული ადამიანების ოჯახებს და მოკლედ ისაუბრა სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად გაწეულ მუშაობაზე, აღნიშნა, რომ მაშველები, მერიის ხელმძღვანელობა და სამსახურები, საკრებულოს წევრები, მოქალაქეები დაუყონებლივ ჩაერთვნენ სამაშველო სამუშაოებში, მობილიზებული იყო მძიმე ტექნიკა, სტიქიის ზონიდან გამოყვანილი იქნა 400- მდე ადამიანი, აქედან 100- მდე დღესაც სასტუმროებშია განთავსებული, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ცენტრალურმა ხელისუფლებამ, 200 -მდე ოჯახი გეოლოგების დასკვნით ექვემდებარება განსახლებას, მუნიციპალიტეტები, ბიზმენსმენები, ფარმაცევტული და წითელი ჯვრის ორგანიზაციები აქტიურად იყვნენ ჩართულნი დაზარალებული მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევევაში, რისთვისაც ყველას მადლობა გადაუხადა მოსახლეობის სახელით. ამასთან ერთად, მისი განცხადებით, ოპოზიცია დაკავებული იყო მოსახლეობისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებით, დესტრუქციული ქმედებებით, სტიქიურ უბედურებაზე ქულების დაწერის მცდელობებით. ცენტრალური მთავრობის, პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილებით სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს მიეცემათ შესაბამისი კომპენსაციები. ყველა პრობლემა, რომელიც მუნიციპალიტეტშია, არ დარჩება გადაუჭრელი, არც ერთი დაზარალებული მოქალაქე და ოჯახი არ დარჩება ყურადღების გარეშე, რაც შეეხება ქვემო ნატანების საჯარო სკოლას, მის რეაბილიტაციაზე დამთავრდება ტენდერი და დაიწყება რემონტი. მადლობა გადაუხადა მერიის სამსახურებს, საკრებულოს წევრებს, მერის რწმუნებულებს, მოქალაქეებს სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის გაწეულ მუშაობაში. საკრებულოს წევრ ბექა თოიძეს მიულოცა დაბადების დღე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა-ვისი უფლებამოსილებაა ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია?,

განუმარტეს, რომ ინვენტარიზაციას განახორციელებს შესაბამისი სამინისტრო. შემდეგი კითხვა იყო სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ტყეების თაობაზე, განუმარტეს, რომ მუნიციპალიტეტის მერია ზრუნავს, გადმოეცეს ეს ტყეები საკუთრებაში მუნიციპალიტეტს.

სხდომის თავმდომარემ დ. დარჩიამ აღნიშნა, რომ ეს საკითხი განხილული იქნა ახალი ფორმატით-მუდმივმოქმედი კომისიების ერთობლივ სხდომაზე, რაც მისასალმებელი და გასათვალისწინებელია, ასვე კარგი იქნება თუ მოხდება ასეთი სხდომების ონლაინ ტრანსლაცია.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტს.

61.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მე-4 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24 - ხმით

თანამომხსენებელმა ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ გეგმის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია ოპოზიციას, ე.ი. ისინი არ აპირებენ საკრებულოს მუშაობაში მონაწილეობის მიღებით საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებას. მადლობა გადაუხადა მერიისა და საკრებულოს გუნდებს სტიქიის შედეგების აღმოფხვრაში გაწეული მუშაობისათვის.

3. ინფორმაცია-.2022 წლის და 2023 წლის 9 თვის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების დახმარების პროგრამის შესრულების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

ქეთევან ხომერიკი

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს ანგარიშს.

საკრებულომ ანგარიში მიიღო ცნობად.

4. ინფორმაცია- იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივად გამოყენების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი : დავით ჭაკნელიძე

საკითხის მოსმენისას საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ აღნიშნა, რომ ანგარიში იყო საინტერესო, მასში მოყვანილ რეკომენდაციებს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებისათვის აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა, როგორია ამ საკითხზე

მერიის მოსაზრება? -შეკითხვით მიმართა მერის პირველ მოადგილეს გ. ღურჯუმელიძეს, რომელმაც უპასუხა, რომ დაწყებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული როგორც არასასოფლო-სამეურნეო, ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწების ინვენტარიზაცია, დადგენილია იჯარის გადახდის პერიოდულობა, ინერგება მოიჯარეების შეტყობინების სისტემა, პირდაპირი განკარგვის წესი არ გამოირიცხება, მაგრამ მიწების განკარგვა ძირითადად აუქციონის წესით განხორციელდება.

საკრებულომ ანგარიში მიიღო ცნობად.

5. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები და ა.შ.).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარემ დ. დარჩიამ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საკრებულოს წევრების მიერ წლიური ანგარიშების ჩაბარების გრაფიკის თაობაზე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი